“პახტაკორი” ძლიერი გუნდია

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 30 სექტემბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “პახტაკორი” (ტაშკენტი) 1:1 (1:0).

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, შერგელაშვილი, სახვაძე, გ. სიჭინავა, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი (ასათიანი).

“პახტაკორი”: ლიუბარცევი, ინოიატოვი, შტერნი, ნაუმენკო, სუიუნოვი, სოლოხო, რახმატულაევი, ტაჯიროვი, იბრაგიმოვი, კრასნიცკი, აბდურაიმოვი.

მსაჯი ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

“პახტაკორი” მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატის ნამდვილ საოცრებას წარმოადგენს. მართალია, ამ გუნდმა ძალიან ცუდად დაიწყო მეორე წრე და 7 მატჩში მხოლოდ 4 ქულა დააგროვა, მაგრამ მას მაინც ეყო სტარტზე მოპოვებული ქულები, რათა ლიდერთა შორის შეენარჩუნებინა ადგილი. გარდა ამისა, ტაშკენტელებს საუკეთესო დაცვა ჰყავთ და გაშვებული ბურთებით მეორე ადგილზე იმყოფებიან.

საინტერესო იყო, რითი ინარჩუნებდა “პახტაკორი” კარის შეუხებლობას: გაძლიერებული “ბეტონით”, მასირებული დაცვით, თუ უკანა ხაზების მოთამაშეთა უნარიანი ურთიერთმოქმედებით? რა თქმა უნდა, ტაშკენტის გუნდი არაა დაცვითი სისტემის მიმდევარი. ნახევარმცველები მხოლოდ აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში ჩამოდიან კარის სიახლოვეს და მაშინვე, როგორც კი ბურთი მოგერიებულია, იწყება მისი გეგმიანი, საკმაოდ ზუსტი გათამაშება. თავდამსხმელებს შესწევთ ძალა ხანგრძლივი შეტევა აწარმოონ და რეალური საშიშროება შეუქმნან მეტოქის კარს. გუშინდელ მატჩში “პახტაკორმა” ძლიერი, კარგად შეთამაშებული კოლექტივის შთაბეჭდილება დატოვა.

საერთო უპირატესობა, ეჭვს არ იწვევს, თბილისელთა მხარეს იყო. ისინი მეტს ფლობდნენ ბურთს, სახიფათო მომენტები სტუმრების საჯარიმო მოედანზე გაცილებით უფრო ხშირად იქმნებოდა, ვიდრე პირიქით, მაგრამ ამ უპირატესობის “სისრულეში მოყვანა” ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო. თავდამსხმელები, რატომღაც, ნერვიულობდნენ, ნაჩქარევად მოქმედებდნენ და გადამწყვეტ მომენტებში ან უზუსტოდ ურტყამდნენ, ან პირდაპირ მეკარეს “აბარებდნენ” ბურთს. საქმე იქამდეც მივიდა, რომ მეტრეველი პირისპირ გავიდა ლიუბარცევთან და ეს წამიერი დუელი ტაშკენტელთა კარის დარაჯს მოაგებინა.

“დინამოს” თავდასხმის ეფექტურობაზე საგრძნობი გავლენა იქონია იმ ფაქტმაც, რომ მისმა მოწინავე მოთამაშეებმა მეტრეველმა და მესხმა “პრინციპული” ხასიათის ინდივიდუალური ბრძოლა ამჯობინეს ნაუმენკოსთან და ინოიატოვთან, ვერც ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს და შეტევის მთლიანობაც დაირღვა.

ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა იამანიძემ. მან მიიღო ილიადის გადაცემა, მოატყუა მცველები, მერე მათი მეკარეც “მიაყოლა” და ცარიელ კარში დაარტყა _ 1:0. საპასუხო გოლი “პახტაკორმა” ასე გაიტანა 49-ე წუთზე: კრასნიცკიმ დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან უძლიერესი საჯარიმო დარტყმით გაგზავნა ბურთი კარისკენ. დინამოელთა დაცვის კედელში “ბზარი” აღმოჩნდა. ურუშაძემ მოიგერია ბურთი, რომელსაც “დინამოს” სახტად დარჩენილ მცველთა “კომპანიაში” მიუსწრო აბდურაიმოვმა და ანგარიშიც გათანაბრდა. დარჩენილმა დრომ თბილისელებს ვერ მოუტანა წარმატება.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 1 ოქტომბერი, 1966 წ.